საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბეშქენ ოპიზარი

ბეშქენ ოპიზარი, XII ს. ოქრომჭედელი, ბექა ოპიზრის უფროსი თანამედროვე. წარმოშობითა და მოღვაწეობით ოპიზასთან (კლარჯეთი) უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ბიოგრ. ცნობები ბ. ო-ის შესახებ არ დარჩენილა.

შემორჩენილია მისი ერთადერთი ნამუშევარი – ბერთის სახარების ვერცხლის ყდის მოჭედილობა (ინახებოდა გელათში, ამჟამად – საქართვ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინ-ტში, Q – 906). ყდის წარწერაში ნათქვამია: „მოიჭედა ჴელითა ბეშქენ ოპოზარისაჲთა“. ყდის ერთ მხარეს გამოსახულია „ჯვარცმის“, მეორე მხარეს – „ვედრების“ კომპოზიციები. კუთხეები მოჩუქურთმებულია არშიებით, რ-თა ინტერვალები „ჯვარცმის“ მხარეს ძვირფასი ქვებისათვის იყო განკუთვნილი, „ვედრების“ მხარეს კი შევსებულია წარწერებით.

განსაკუთრებით მეტყველია ტახტზე მჯდომი ქრისტეს მძლავრი ფიგურა. ქრისტეს სამოსლის ნაოჭები, ტახტის ჩუქურთმები, არშიების ორნამენტაცია მოწმობს ბ. ო-ის მაღალ ოსტატობას.

ლიტ.: ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი შ., ბექა ოპიზარი, თბ., 1956; ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; Ч у б и н а ш в и л и Г. Н., Грузинское чеканноеискусство, ТБ., 1959.

ვ. ბერიძე